

ს პ ა ლ ი



სალიბერატურო და სამეცნიერო ნახატობიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 5.

იანვარი 23, 1894 წ.

№ 5.

შენახვა:—ანეერის ანუ ანტეერბენის მსოფლიო გამოფენა 1894 წ. კვიბატისა.—ფიჭრი და შენიშენა, დ. ხ.—მესტ-ვირე, ლექსი ი. ივანაშვილისა.—ხაფანგი, დრამა ოთხ-მოქმედებად მეველესი (კრიტიკული გარჩევა) გ. წყნეთლისა.—ჩემი დარდი, ლექსი კორტოხასისა.—ქართულების კვალი პოლტავაში ს. მგალობლიშვილისა.—* ლექსი დ. როსტომიშვილისა.— მოდების ისტორია ან. თ-წასა.—ნათის წყაროები ბაქის ახლო, ბუნების შეტყულების მოყვარისა.—ჩვენი ქვეყნის რაინდი ე. ნინოშვილისა.— ქერძო განცხადება.

ამ ნომერთან ერთად ხელის-გომეზარლავს ეგზავნება ალ. ჯაფიგბის სურათი

ანეერის ანუ ანტეერბენის მსოფლიო გამოფენა 1894 წ.

მეცხრამეტე საუკუნემ სხვათა-შორის ერთი დაუ-
ციწყარი და უკვდავი ძეგლი აიგო ამით
იგი სამართლიანად ისახელებს თავს მყობადს
საუკუნოებში. ეს არის მსოფლიო გამოფენების შემო-
ღება. ეს დაწესებულება, უსაკილოთ, საუკეთესო
დამოყვრებად უნდა შეირაცხოს ერთაშორის განა-
თლებისა და წარმატების ფრთებ შესახებლად, გაბე-
დვით ეტყვიით, რომ ჯერ ასეთი რამ ქვეყნის საყე-
თილდლო დაწესებულება არც ერთ საუკუნეში არ
მოხსნარა მსოფლიო გამოფენა არის მოძრავი დროე-
ბითი შეერთება დედამიწის ყოველკუთხის ერთა წარ-
მომადგენლებისა, რომელთაც მოაქეთ დროებით გა-
შენებულს ქალაქში ყოველგვარი თავისი გონებრივი
და სახელისნო წარმოება. ყოველი ერთი იჩენს აქ
თავის თვით-არსებას, გა-ცნობს თავის თავს გარე-
შე. უტხოვრებს საკუთარი ხელოვნებით, გონება გან-
ვითარებით, აღებს მიცემობით, სასოჯადო წეს-წყობი-
ლებით და თავის ქვეყნის სიმდიდრით. რომელს ერ-

საც აქ არ შეუძლია თავისი პიროვნული ეროვნება
გამოაჩინოს, ის ერთი ერად არ ჩაირაცხება, იმას არც
არავინ იცნობს, არც მის ბედ-იღბალს კითხულობენ.
ასეთი დაცემირება მრავალთა ერთა ურთიერთ-შო-
რის მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი, როცა ქვე-
ყანაზე დადგებოდა დრო ორთქლის და ელექტრო-
ნის ძალთა ხმარებისა, რომელნიც გააზამდენ გადა-
კარგულს დედამიწის კუთხეებთან ჩქარს ამბისსა-
ნობელს საელექტრონო მართულებსა და გააგებდენ
ჩქარ გადაწყვენ-გადმოწყვენ გზებსა, რომ შორე მან-
ძილი მოსაბილ იყო და ჩქარი აზრთა გაზიარება
შესაძლებელი ყოფილიყო ერთმანეთზე მოწყვეტილ
ერთა შორის. ეს მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში
მოხერხდა, როცა ცეცხლის გემებმა და რკინის გზებ-
მა დაქსელეს ზღვა და ხმელეთი, როცა ტელეგრაფ-
მა და ტელეფონმა შეიძლო სიტყვა-პასუხის ერთ წამს
წადებ-წამოდება აღმოსაყვითიდან დასავლეთის და
ჩრდილოეთიდან სამხრეთს. დღეს განათლებულსა და
მძლავრს სახელმწიფოებს ამოუდგენ გვერდით მსოფ-
ლიო გამოფენის მიგზებით პაწია ერებიც; ბოლგარია,

სერბია, შოლდავია და ელახია და, ასე გასინჯე, რესპუბლიკა სან-მარინოც, რომლის მცხოვრებთა რიცხვი რვა-ათას სულსაც არ გადაეჭვებოდა. ორმოცი და ასი მილიონის მცხოვრებთა მებატონე სახელმწიფოები დიდი სიამოვნებით ხელს უწყდნენ და მგაბრულოს ურთიერთობას უწყვენ, თუნდა, მაგალითად, სერბიას, რომელსაც ორ მილიონზე მეტი მცხოვრები ერი არც კი ჰყავს. დიდი სახელმწიფოები, სხვათაშორის, ამ მსოფლიო გამოფენის მეოხებით, თან-და-თან უმეობრდებიან, უახლოვდებიან ამ პაწია სახელმწიფოებს, გზავნიან იქ თავის შექონებულს ფულიან კაცებს, უკეთებენ რკინის გზებს, უდიდებენ თავის ფულით ადგილობრივ წარმოებას და ჰმატებენ ამ პაწია ერებს კეთილდღეობას. რათა? იმისთვის რომ ეს პაწია ერები აწვდნენ მსოფლიო გამოფენაზე თავის ქვეყნის წარმოებას: ყოველნაირ პირნახულს, მწერლობის და ხელობის ნიმუშებს, სხვა-და-სხვა ხეებისა, მანქნულ ობიას, ფეხად მიწების ნიმუშს, აგრეთვე აძლევენ ხელში იმ ადგილების რუკებს, (პლანებს) აჩვენებენ გზებს, რომლითაც შეიძლება უფრო ადვილი მისვლა-მოსვლა და საქონლის გადატან-გადმოტანა იაფ-ფასად. ფულიანი კაცებიც რაკი ამ ცნობებს მიიღებენ და ანგარიშით დარწმუნდებიან, რომ ძალიან საფაიდრო იქნება მათთვისაც იმ ზორიელ კუთხეებში აღებ-მიტეობისა და წარმოების გაზარტება, მაშინვე შეეკრებიან პირობებით მებატონეებს: ფული ჩენი, მამული თქვენი, ეაწარმოოთ ერთად და მოგება ზოგი თქვენ, ზოგი ჩვენო. ამასხით მსოფლიო გამოფენის წყალობით ევროპიელ სახელმწიფოების თანხა აყუავენ, აღიღებს წარმოებას აღმოსავლეთის ერებისას ბოლგარია, რუმინია, სერბია რომ იქით გადავლეთ, მთელი ოსმალეთი, ეგვიპტე, ინდოეთი და ასტრალია ევროპის ფულის საშუალებით აღიღებს თავის წარმოებას.

კავკასიის წარმოებასაც მოკიდა ხელი ევროპის ფულმა. ნავთისა და ქვანახტის წარმოება ევროპის ფულის წყალობით აზვავდა; მაგრამ აქ ფული შეზოტიანებს გაუმადარმა და ხალხის მყელფეფმა უცხო ქვეყნის კომისიონერებმა. ჩენებურის მებატონეებს მდიდარი მამულებისას ძალიან ნაკლებით აქვთ და მოკიდებულება, პირდაპირი მიმართობა, ევროპის ფულის მებატონეებთან. ისინი ჰყიდიან თავიანთ ნაწარმოებს შხოლოდ მტარცველ კომისიონერების შუამავლობით და ამისგამო მოგებაც ამ კომისიონერების ჯიბეში ჩადის. მსოფლიო გამოფენა მითი დენხმარება ჩენებურის მებატონეებს, რომ თვით ფული მებატონე მოჰკიდებს ზღოს მას და დაუახლოვ-

დება მწარმოებელს. რაც ფულს ახლა კომისიონერები ჯიბეში იღებენ მოგებათ, ის თვით მამულის მებატონეებს მოუყიდალათ, რომ ჩვენ, ქართველებს, მსოფლიო გამოფენის სარგებლობა კარგათ გეჰანდეს შეგნებული და ევროპიელებს დროზე ვაეცნობდეთ ამ გამოფენის მეოხებით ჩვენს კუთხეს. აქ მართო მთავრობა ვერას იზამს, თუ თვით ქართველმა საზოგადოებამ არ გამოიღვა თავი.

როცა მსოფლიო გამოფენა გამართება, იქ ყოველს ერს თავისი ალაგი უჭირავს და თავის ნაწარმოებს ისეთ რიგით დააწყობს გამოფენაზე, რომ უცხო ქვეყნის ეაჭარი მაშინვე ერთი შეხედვით იცნობს: აი, ეს, მაგალითად, სერბიის ქვეყანა არისო, დაუფრომანდება ნაწარმოებს, აღნუსხავს, რაც იქ ნახა, შეიტყობს, რომელს კუთხეშია ესა-და-ეს სიმდიდრე, დახედავს რუკას (კარტას), ჩაიწერს ნაწარმოების მომტანის მებატონეების სახელს, გვარს, მის ვინაობას, ჩაინიშნავს მის ადგილსა მცხოვრებელს და გათავდა. ცოტას ხანს შემდეგ, როცა საქონლის გამომფენელი შინ დაბრუნდებიან, იმათ მიუვთა წერილი ეისმე შეძლებულს ევროპიელს ფირმისგან: მე ახლენი და ახლენი ასი-ათასი მანეთის თქვენი ნაწარმოები საქონელი მჭირდება, გამომიგზავნეთ და ფულს მიიღებოთ, ან თუ შეძლება არა გაქეთ უფულობის გამო, აი, ფულიც მიიღეთ, ოღონდ გამოგზავნეთო. ამგვარად ჰყავდება ქვეყანა, მდიდრდება ყოველი მწარმოებელი. ერთი ეკითხოთ, ყოფილა თუ არა ჯერ რომელიმე მსოფლიო გამოფენაზე ისეთი ალაგი, საცა ევროპიელი ფულიანი კაცის თვლი დადგომოდეს საქართველოს ნაწარმოებსა? არა. ზისე კი საქართველოს კუთხე ცნობილია რუსეთის სახელმწიფოს საუკეთესო ძეგრფას თვალად. რატომ ასეთივე ალაგი არ უჭირავს ხოლმე საქართველოს ამ დიდებულს დროებითს მოძრავს ბაზარზე? იმიტომ რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შეგვიწია მსოფლიო გამოფენის მნიშვნელობა ჩვენის ქვეყნისათვის. დრო არის მუუვლეთ ასეთს ქვეყნის საკეთილდღეო საქმეს. ჩენი თავდა-ნახაურთა წინამძღოლები, ჩენი ქალაქების თავები, ბოლოს ჩენი შემძლებელი მებატონეები და ფულიანი კაცები იმაზე უკეთესს საშახურს ვერ გაუწევენ ქვეყანას, რომ დაარსებდნენ მსოფლიო გამოფენის საქართველოს კომიტეტს, დიკურდნენ ხოლმე კუთხეს მსოფლიო გამოფენაში და იქ თვალსაჩინოთ წარუდგენდნენ ევროპის სახელმწიფოებს საქართველოს ბუნების სიმდიდრის ნიმუშებს, რომ ერთი შეხედვით ევროპიელმა თქვას: აი, საქართველოს ერის ნაწარმოებიც აქ არისო. მართლაც ეტყობა, რომ ერთი ყოფი-

ლა თავიებური კულტურითა, თავისი ფერი ჰქონა, იქ დიდი სიმდიდრეც ყოფილა ჯერ კიდევ ხელუხლებელი. მივეშველოთ, გავადილოთ იმათი წარმოება, ჩვენც ვისარგებლოთ და ისინიც ვასარგებლოთ. თუ რა წესით და რიგით მოხდება ჩვენი ქვეყ-

ნის გაცნობა ევროპასთან და რა საშუალებით შეიძლება მისი ნდობით ისარგებლოს ჩვენმა ქვეყნის წარმოებამ, ამას შემდეგ ნომერში მოგახსენებთ, როცა გვექნება ლაპარაკი ანერვის მომავალ მსოფლიო გამოაფენაზე.

კვირბატი

(შემდეგი ნებება)



ფიქრი და პენისენი

გუშინ და დღეს. ჟურნალი „მოამბე“ და კრიტიკის საჭიროება. აკაკი და მისი სიტყვა ალ. ყაზბეგის კუბოზე.



უ რუსეთის ახალგაზრდობას, რომელსაც მეოთხმოცე წლებში არგუნა ბედმა სწავლა-განათლების მიღება და დღეს ცხოვრებაში გამოდის, შეუძლია სთქვას: „ძნელი, ერთობ ძნელი დრო გვქონდა“ო, ჩვენ ამავე დროის ქართველ თაობას, კიდევ უფრო გვეთქმის ესა. ყველა იმ მიზეზებს, რომელნიც მთელს რუსეთში ჰპოქმედებდნენ ამ დროს, ჩვენში, სხვა კერძო მიზეზთა შორის, ზედ დაერთო ჩვენის მწერლობის თითქმის სრულიად შეწყვეტა, ერთს წერტილზე შეჩერება. ჩვენთა მწერალთა ძველი ნაწერები გამოუტყემელი იყო და ერთადერთი ყოველდღიური გაზეთი „ივერია“, რასაკვირველია, ვერ მისცემდა მოსწავლელ ახალგაზრდობას სათანადო გონებრივს საზრდოს და მოსწავლელ ახალგაზრდობაც, როგორც საშუალო, ისე მაღალ სასწავლებელში ყოფნის დროს, ძალა-უნებურად, მარტო რუსული ლიტერატურით იკვებებოდა, რუსეთის ჟურნალ-გაზეთებზე ეთარღებოდა. ჩვენ ამით იმას კი არ ვამბობთ, რომ რუსული მწერლობა მივინებელი ყოველიოყოს ჩვენის ახალგაზრდობისათვის. არა; ჩვენ მხოლოდ გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ამ დროის ჩვენს მოზარდს თაობას არ ჰქონდა დედა-ენაზედ საკითხავი მასალა, არ ჰყავდა თავის სამშობლოში გზის მაჩვენებელი, გამომწვევებელი... რომ ამ საგანზე ჩვენ სხვა დროსა გვქონია ლაპარაკი *) და ახლა აღარ

გავგარძელებთ საუბარს. თუ ახლა ხელახლად ჩამოვავდეთ ამაზე სიტყვა მხოლოდ იმიტომ, რომ აღვნიშნოთ ახლანდელი მოსწავლელ ახალგაზრდობის უყვეთეს მდგომარეობაში ყოფნა ამ მხრით: ჩვენთა საუყვეთესო მწერალთა ნაწერები უყვე შეიკრიბა და იბეჭდება; ალ. ყაზბეგი, ი. ქაქავაძე, აკაკი წერეთელი დაიბეჭდა კიდევ, მალე დაიბეჭდება აგრეთვე გ. წერეთელი, მამია გურიელი, რ. ერისთავი და სხვები. ამას გარდა „1893 წელში დაიბადა ჟურნალი „ქველი“ და თავი უყვე იჩინა კიდევ“ და წელს ყოველი თვიური ჟურნალიც გამოვიდა, ასე რომ ახლა საკითხავი მასალა საკმაოდ გვაქვს ქართულს ენაზე და, იმედია, თან-და-თან იმატებს კიდევ. მაშასადამე მოზარდი თაობაც უფრო მომზადებული გამოვა ჩვენი ქვეყნის სამსახურისთვის ცხოვრებაში, თუ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები პირნათლად შესაბრუნებენ თავის მოვალეობას და შესაფერ საზრდოს მისცემენ მას, რასაკვირველია...

ჟურნალ „მოამბის“ პირველ №-ის სარედაქციო წერილში: „მოამბის პროგრამის გამო“ ჩვენ ვკითხულობთ: „ჟურნალის განსაკუთრებით მოვალეობა არის, რომ მკითხველს მიაწოდოს სალიტერატურო ნაწარმოები, დაბეჭდოს დატეხატურაში მიმართულება და გახდეს შუამავალი მეცნიერებასა და ცხოვრებას შორის“ო. ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ამ აზრს და ჟურნალის უპირველეს მოვალეობად მიგვაჩნია სწორეთ ის ლიტერატურაში მიმართულების დამყარება, რომელსაც ხაზი გავუსვით; ხოლო ლიტერატურაში მიმართულების დამყარება შეუძლია დაბრძანებულს, დროის შესაფერ კრიტიკას, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ ეიპოვეთ „მოამბის“ პირველ წიგნში. რასაკვირველია, ის ორიოდვე საბიბლიოგრაფიო წერილი, რომელიც ამ წიგნშია მოთავსებული კრიტიკად არ ჩაითვლება, თუმცა სათაურად კი აქვს „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“ო. გვეცოდა კი, რომ ეიპოვიდით, რადგან ახლა მაინც სალიტერატურო მასალის უქონლობას ვერაინ იტყვის და სქელ მრავალ ფურცლოვან ჟურნალს მუდამ კრი-

*) ერთის ჩვენის წერილის გამო, რომელიც 1892 წლის გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა სათაურით — „მა შორიდან (ჩვენთა მწერალთა საყურადღებოდ)“ თით „უხუცესმა ჩვენმა პუბლიცისტმა“ დააპირა ვრცელის წერილის დაწერა და წინასიტყვაობა დაიბეჭდა კიდევ იმავე გაზეთში. ამ წერილის ვაგრძელბას მოუთქმნალ ველადით და ველით დღესაც იმედია, პატრიკემული ავტორი როდისმე ხელახლად დაუბრუნდება შეწყვეტილს წერილს და განაგრძობს. ზემოხსენებულ წერილში ჩვენ უფრო ვრცელად ვამბობდით ამასვე, რაც ახლა ვსთქვით და გვიკვირს ბნე ვ. ნინოშვილი თავის წერილში „ველი დევა ახალ ქერქში“ („ველი № 82, 1-83 წ.) რად გვეწმებს, ვითომ ჩვენ ახალგაზრდობის „უფარგისობაში“ ბრალს მარტო მათათა ვსდებდით...

ტიკული განყოფილება რომ არ ექნეს, წარმოუდგენელია. სხვა ნაწერები შეიძლება შემთხვევით იყოს ჟურნალში და კრიტიკა კი, როგორც შინაური და უცხოეთის ქრანიკა, მუდმივი, ერთის მიმართულებით გამსჭვალული, უნდა იყოს. რა აძლევდა ფერს რუსეთის საუკეთესო ჟურნალებს და აძლევს დღესაც? კრიტიკა, ბელინსკი, დობროლიუბოვი, პისარევი, და სხვ. აი, ვინ იყენ ნამდვილი სულის შთამდგომელი ჟურნალისა! შეიძლება გვიანსებონ, ჩვენში კრიტიკოსი არ არისო. მართალია, დღემდის არ ყოფილა, რადგან არც მასალა იყო კრიტიკისათვის, მაგრამ დღეს უნდა გამოჩნდეს და მისი გამოჩენაც სწორეთ ჟურნალის საქმეა. მაშ, იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალში მაინც შეაქვებს „მოამბის, რედაქცია ამ ნაკლს და მის მიერვე აღსარებულს მოვალეობას არ უღალატებს!...

ყოველ ერს ჰყავს თითო ოროლა მამულის შეილი, მწერალი, თუ სხვა მოღვაწე, რომლის ყოველს ნაბიჯსაც გაუცაკციებთ ადევნებს თვალს, რომლის ყოველ სიტყვას გულმოაღინებთ უკდებს ყურს. ჩვენში ამისთანა ადგილი უჭირავს აგრეთვე ჩვენ საყვარელ პოეტს აკაკის. ამიტომაც იყო, რომ ყველა ჩვენგანი, ვისაც შემთხვევამ ნება არ მოგვცა ტფილ ისში ყოფილიყავით ალ. ყაზბეგის გასვენების დროს, მოულოდნელად ელოდით აკაკის სიტყვის დაბეჭდვას გვეუბნებოდნენ ტფილისიდან მოსულები, უადგილო იყოფო, ისე გამოდიოდა, თითქოს თავის თავი ჰყავდა მხედველობაში, თითქოს პირადი ინტერესებით იყო გამსჭვალული და სხვ. და ჩვენც პასუხს ვერ ვაძლევდით. დღეს კი, როცა აკაკის სიტყვა წაეკითხებთ „მოამბე“-ში, არ შეგვიძლია ორიოდ სიტყვა არ ვსთქვათ იმაზე... ჯერ ერთი ეს, რომ აკაკი პირველად არ ამბობს მის,

რაც ალ. ყაზბეგის კუბოზე უთქვამს: ნ. ბარათაშვილის გადმოსვენების დროსაც მან თითქმის ვაყვე გამოსთქვა თავის „შე-ფუქრებში“ (იხ. „კვილი“ № 18, 1893 წ.). რაიცა შეეცება ამ სიტყვის უდროობას და უადგილობას, ამაზე თვითონ აკაკი შევნიერს პასუხს იძლევა თავისსავე სიტყვაში... ახლა ვითიხზოთ, რატომ არის, რომ ჩვენ მწერლებში მართა აკაკი ლაპარაკობს ამ ნაირად, მარტო ის უსაყვედურებს ხოლმე საზოგადოებას მწერალთაღმი გულგრილობას ყოველთვის, როცა კი შემთხვევა მიეცემა? ჩვენის აზრით იმიტომ, რომ ნამდვილის მწერლის ტიპი ჩვენში მარტო აკაკიმ განახორციელა. გარდა განსვენებულთ ს. მესხისა და ალ. ყაზბეგისა ჩვენი სხვა მწერალნი მწერლობას გარდა სხვა ხელობასაც მისდევენ, აკაკი კი მარტო მწერალი იყო და არის დღესაც. ამიტომაც იმან უფრო იცის მწერლის გულის პასუხი, იმან უფრო ესმის მისი სულის კვეთება და, როცა ჰხედავს, რომ დღეს ნელ-ნელა იზადებთან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც მხოლოდ მწერლობაში მხედვენ თავიანთ დანიშნულებას, გული შეესტკივა ჰხდებიან. გარდა ამისა აკაკი პირადად იცნობდა და იცნობს ყველას, ვისაც კი მტკიროდნენი ნიჭი გამოუჩენია წერაში (მოიგონეთ ი. დავითაშვილის წერილები აკაკისთან) და მასთანადე სხვაზე უფრო კარგად იცის მათი გაჭირვება; იცის და თავის მოვალეობად ჰრატს აუწყოს, რაც თვითონ იცის საზოგადოებას, თელი აუხილოს მას. აკაკი ცდილობს მომავალში მაინც ააზოროს ქართველ მწერალს ის ბედი, რომელიც წილად ხედა პირველ პიონერებს და, ჩვენის აზრით, უკეთესს დროსა და ადგილს ვერ იპოვიდა იგი თავის აზრის გამოსათქმელად, როგორც იყო ალ. ყაზბეგის გასვენება...

დ. ბ.

გ ა უ მ ძ მ ღ ა რ ი

ღისი წლისაა, მოკმაწუთი სოფელი თავისა, მაინც სიალნეს ფესს აქერს დღისა ბნელის და შავისა! არ დაწერარდება, დავაში მუდამ დღე გამოსულია: თუ ვისმე რამე წაჰგლიჯა, ნეტარებს ამის სულია. თუ ვინმე ამას აჯობა,

მიწა მოუტრა მეტია— არ გიცადა თელითა, მოსაკლავდაც ეტია!..
სარჩო, ქონება ბევრი აქეს, არამის გულით ნაკონი; მაგრამ, რომ ევლარ ჰპატრონობს, ჰქენჯნის ფიქრი და საგონი! არავინა ჰყავს, მიწაში ჩაკრიფა ბევრი ტომია, კიდევ ვერ გაძლა, თვით მიწას იმისთვის ცრემლი წთამია!

საფანეო

ღრამა ოთხ-მოქვედვად მეველსი



ორმეტს იანვარს ჩენს ქართულს თეატრში დადგეს ახალი პიესა მეველისა. თეთი შინა-არსი ღრამისა აღებულთა იმერეთის ცხოვრებითან. იგი შეიცავს მოკლედ შემდეგ ცხოვრების სურათს. ახალგაზდა თავადის შვილი ვარდენ ლომიძე შეიყვარებს თავის ნაყმევის ტიმოთე ბარამიძის ქალს, ნინოს, და ჰსურს შეერთოს ცოლად. ვარდენის მამა ზაქარია ლომიძე შეიტყობს ამას, გაბრაზდება და რომ ჩაშალოს, ხელს მიჰყოფს: საძაგელს ინტრიგას, დაარწმუნებს თავს შელს ტიმოთეს ქალის ნინოს გარყენილს ყოფაქცევაზე. ვართენი დაავადებს თავის ნაყმევის ქალს, რომელიც წყალში გადაეარდება. თუმცა მას გადაარჩენენ დახრჩობისგან, მაგრამ მომავალდინებელი ანთებით სხდება ავით. ვარდენი ყოველსავე ამას შეიტყობს აზნაურის სარდიონ კლდიაშვილის პირით, რომელსაც იგივე ნაყმევის ქალი გაცივებით ჰყვარებდა და წლამებნა აგრეთვე შეიროფა, მაგრამ ვარდენისა და ნინოს სიყვარულს ჩაუშლია, მოუწამლავს სარდიონის რანდიული გრძობა. შემდეგ თავადი ვარდენი და აზნაური სარდიონ კლდიაშვილი, ეს ორი ერთმანეთის მოსისხლე მტერი, გლეხს ქალის, ნინოს, გულსთვის ერთმანეთს შეეტაკებინან და ვარდენი რევოლუციით ჰკლავს სარდიონს. სიკვდილის ქაშა სარდიონი არწმუნებს ვარდენს, რომ ნინო მის წინაშე უმანკო ყოფილა. ვარდენი ისევ დაუბრუნდება თავის ნინოს, რომელიც მის ხელზე კვდება.

როგორც მკითხველი მიხვდება, ბ.ნ მეველეს მართლაც სამწუხარო რამ ამბავი აუღია თავის ღრამის საგნად და ესე ყოველივე რომ ცხოვრების სინამდვილით ყოფილიყო გამოხატული და ამასთანავე კაცის შინაგანი ენებითი ბრძოლა ვადმოშლილი იყო მაყურებლის თვალწინ, მართლაც რომ „ხაფანგი“ პირველი ღრამი იქნებოდა ქართულს ენაზე, ქართულ ცხოვრების ნიაღვრეზე აღმოცენილი. სამწუხაროდ ჩვენ ვერც გარეგანი სახე ჩვენის ცხოვრებისა ესკანით მასში და ვერც შინაგანი ენებითი ბრძოლა შევინწინეთ, რომ ნამდვილი კაცის ბუნების შესაფერი ყოფილიყოს. რა იყო მიზეზი ხელოვნების წარმოების ასეთი სისუსტისა? ნიჭი, თუ შემქლარი მიმართულება? ჩვენის აზრით. უფრო მეორე, ვიდრე პირველი.

ბ.მა მეველემ თავის მოწინავე წერილებით უკვე ცხადათ გამოთქვა შემქლარი შენეღულება ჩვენს წოდებრივს დამოკიდებულებაზე, რომ ჩვენში ბატონისა და ყმებს შორის არაეთიარი დაშორება, სამღუარავი და გამწვანება არ არსებობს. ახლა ამის დასა-

მტკიცებლად, როგორც სჩანს, მას უნებებია ასეთი დამოკიდებულების სურათის დახატვა: ვითოდ და, აი, თუ არ გჯერათ, ნახეთ სურათი და დატკბით მისი სინამდვილით. აქ აზნაურ-შვილი და თავად-შვილიც ორივე თანასწორი გატაცებით მიიღტიან, რომ მოიგონ თავიანთ ნაყმევის გლეხის ქალის გული, ჰსურთ გაბედნიერდნენ მისი შერთვით და იმდენზე მიაღწია მათმა ენებამ, რომ იმისგულისთვის ერთმანეთსაც ჰკლავენო. ეს მიმართულება პირველი არ არის ჩვენ ხელოვნების ლიტერატურაში. ასეთი ჩატებილი ხილის გამოვლენა და ბატონყმობას შორის წოდებრივი განკერძოების მოსპობის ნიმუში—მთელი „ოთარანთ ქერივიც“ არის „შუა ხელი. მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ასეთი მოსაზრება მხოლოდ იმ მწერალთა კეთილშობილურის გულისწავლიდს ნაყოფი და არა ნამდვილი ცხოვრების სურათი. ამას ჰქვია ტენდენცია და ამ ტენდენციას თუნდ კეთილშობილურიც რომ დაარქვით, თუ ასეთი რამ თეთი ცხოვრების ერთარებაში არ არის, გამოდის უბრალო თავის მოტყუებად, როგორც პატარა ბავშვი თავის თავს ბტყუებს, როცა ჯოხზე ზის და დარწმუნებულია, რომ არაბულს ბედაურს ვაჭენებო. ლიტერატურაში ამისთანა თავის მოტყუებას იმის მიტი შედეგი რომ არ მოსდევდეს, რაც ყმანვილოს ცოცხალს, მაგრამ ცრუ წარმოდგენას მოჰყვება, მაშინ ჩვენც არა გვეტქმოდა რა; მაგრამ სამწუხაროდ ლიტერატურაში და ხელოვნებაში ასეთს ცრუ გამოხატულებას დიდი მავნებლობა მოსდევს. იგი ნიშნავს იეთი ლიტერატურის გაშორებას ცხოვრების ვაი-ვაგლახისაგან და საზოგადოების გონების თვალის ამმას მოასწავებს.

ხელოვნება და ლიტერატურა მხოლოდ მაშინ არის საზოგადოების გონების განმავითარებელი, როცა იგი თეთი ცხოვრებაზე დაკავშირებული, როდესაც იგი აღმოხატავს ნამდვილად, ზედმიწევნითი სიმართლით, ცხოვრების ვითარებას, მის გულის ტკივილს, მის გულის ჰრილობას, რომ საზოგადოებამ და მთელმა ერმაც სამართლიანად იძიოს წამალი თავის სატკივირისა და დამაშობლურების სენისგან თავი განიკურნოს. როდესაც ხელოვნება ამ ზომამდე დაკავშირებულია ცხოვრებასთან, აი, მაშინ ჰქვია მას ნამდვილი ხელოვნება, ესე იგი რეალურა ხედვანება. მხოლოდ რეალურს ხელოვნებას აქვს ძალა ხელში ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. უკუწურია ის დღეა, რომელიც კლილოზს ატირებულის შვილის გაუმეებას სხვა-და-სხვა ტკიბილულობის მიცემით, მაშინ როცა ბავშვი ავიმუცლის ტკივილი აწუხებს. მაგრამ ილია და ლიტერატურა და ხელოვნება, რომელიც იკლავს დამოხატვის ისეთს სურათს კი არა, რომელიც ნამდვილად ცხოვრებაშია,

არამედ ისეთს, რომელიც არის არსებობს, მაგრამ მისი აზრით კი სასურველია, რომ იყოს. ასეთს მიმართულენას ლიტერატურაში და ხელოვნებაში ეწოდება ტენდენციური მიმართულება. რათა მინდა შენი იდეები, შიშლით კუკა მიხმებაა არის ნათქვამი. რათა მინდა შენი იდეალური, გალამაზებული ცხოვრების სურათი, თუ იქ შე ჩემს დაგრებილს უხერა სახეს ვერ შეგებდა, რომ შევიყვანო ჩემი სისაძაღვ და მოვიშალო. ეს არის მიზეზი, რომ ჩვენ უარს ვყოფთ ხელოვნებაში მოკარგებულს ტენდენციას, რადგან იგია ჩვენის წარმატების მანეველი და შემაჩრებელი. ასეთს მოსახრებას შემდეგ დაეწეროდნანდეთ დრამას „ხანდაგ“ და განიხილოთ, თუ რამდენათ ნამდვილია და ჩვენს ცხოვრებაზე ზედ-გამოკრილი მასში გამოქანდაკებული სურათი ჩვენის ცხოვრებისა.

აგილოთ უმთავრესი გმირი დრამისა გარდენ ლომამე. ეს არის თავადის ზაქარეას ერთადერთი შვილი, აღზრდილი მამაყით თავგასული თავადი-შვილის, ზაქარია ლომიძის, ოჯახში. მას თან დასდევინ ხლებულნი. როგორ ატარებს იგი ცხოვრებას? როგორც უტარებიათ ყოველ შეძლებულ თავადი-შვილებს, ხობობაში. მოუკიდნია თუ არა ამ ახალ-გაზდა თავადიშვილს სევა უფრო გონიერ საქმისთვის ხელი? ჩვენ ამას დრამაში არ ვხედავთ. როგორც თავგასული თავადიშვილი, იგი ძეგობას, ატარებს დროს მშობლად ნადირობაში. ამ დროს მას, რასაკვირვლია, ბევრი ღამაში ქალისთვის მოუკრავს თვალი, მაგრამ ყველაზე უფრო მოწონებია თავის ნაყმეის ქალი და უნდა ცოლად შეირთოს. ნუ თუ ეს წარმოსადგენია? შეყვარება ღამაზე ქორფა გლეხის ასულისა თავგასულ ახალგაზდა თავადიშვილის მიერ, რასაკვირვლია, წარმოსადგენიც არის და ძალიან ხშირადღეც ვარჯიშობენ ქორამებერთი მოარული თავადიშვილები, როცა კი დაიკულებენ წელწერწებს და გულმკერდ სახეს გლეხის ქალებს, მერე მისი ნაყმეის ქალიც თუ არის; მაგრამ შერთვისა კი რა მოგახსენოთ... ასეთს დროს-გატარებას არც მამები უშლიან, როგორც თვით ზაქარეაც ამბობს: „რა ცუდია, ცოტახანს ახალგაზდა კაცმა თავი შეიქციოს...“ მაგრამ ნუ თუ მართლა წარმოსადგენია, რომ ასეთმა ახალგაზდა თავადიშვილმა ცოლად შეირთოს თავის ნაყმეის ქალი?..

იქნება ვინმე მიპასუხოს, რაკი ვარდენ მალალი განათლების პატრონი იყოფა, მასში წოდებრივი ამო-ოდმორწმუნება არ იქნებოდაო. მერე სად ვხედავთ დრამაში მალალ განათლების კაცს?.. ვარდენი მართა ქორამებერთი წერათშეა გართული. საცა დინახავს ღამაზე ქალს, გინდ ტიპითე გლეხის იყოს, გინდ „ნიკოლოზ თავადიშვილის“, ყველას უარსმოყვდება. ეს კიდევ არაფერია. მიყვეთ დრამის შინაარს.

როცა, მაგალითად, ნინოს სიყვარულში თავი მოტყუებულად სცნო, კაცუნის გასაქარებლად ვარდენი შეუდგა ლოთობას, პატიოსანს ოჯახებში უხტებოდა, ყველანი ვრიდებოდენ; ასე ვანსჯე მისი ხლებული ნესტორიც კი ზიზღათ იხსენებს მის ყოფა-ქცევას: „ვარგი, შენი ჭირიმე, ვარდენ, დაანებე მეგ წააღეს ამავეს თავი“... ნეტა რა ამავეს უყვება ვარდენ? „საღამოს ძალზე ნაღინევები ან თეატრში შევეცეიდებით ზაღმე, ან საღმე ნაწრობს ოჯახშია... გაღე-ქებულნი, გამხტებულნი... ყველანი სწუხდენ უთუ-ოდ ამ ჩვენს ასეთს ყოფას და გვერიდებოდენო...“ ნეტა თუ ასეთი ახალგაზდა თავადიშვილი გონება-განეთარებული ჰგონია აეტაროს?... მაგრამ შეიძლება იმან მიპასუხოს: აბა, რა არის, თუ გონება-განეთარებული არ არისო ჩემი ვარდენი, როდესაც იმას ღიდებული შექპირის სიტყვებს წარმოვათქმევინებო ქალის ხსიათის დაუდგრობლობაზეო?

კიდევ ევ არის ტიპის სიტყვად და სინამდვილეს მოკლებულობა, რომ მისი სიტყმდებისა და ყოფა-ქცევის შეუფერებელს სიბრძნეს რომ აღაპარაკებენ აეტარები თავის ტიპებს.. ახლა ავილოთ გლეხის ტიპითეს ქალი ნახო. ნეტა რა მოეწონა, ვთქვათ, გონება-განეთარებულს ვარდენ ბატონიშვილს ნინოსი, რომ ჯერ არც კი გაუცნია ხერიანად მისა ვინაობა, მაშინვე დაეტაკა, მიიქრა გულზე და უთხრა, ცოლად უნდა შევიერთოვო?... დრამაში ნინოსი გონება-ზნეობის სიმადლე სრულიად არა ხანას, გარდა იმისა, რომ ხობ.რ.ბ ეალერსება და ღამაში ყაბა-ღახის შეყვრა სცოდნია. უნდა მოგახსენოთ ასეთი სულის თვისებები ნინოსი არამც თუ იდეალურს მაღალი სწავლით დაჯილოდებულს ვარდენს გაიტაცებს, ნამდვილ ვარდენს, ქორამებერთი მდევარსაც, კი ვერ აუტყვრებდა ღრმად გულს. მაკრამ, ჰო, უკაცრავათ...

ნინო სიკვილისი ქაშს ბარათაშვილის ღრმა აზროვანს ლექსებს მისივე აზრით გამსქვალული აკი წარმოსთქვამს:

სიყვარული განა ვისმე ახარებს?
გაქპრა ტაძარი და უღანაო ჩუმაღ მღუმარებს;
მას აქით ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს;
მის ნაცულად სევა და წყვილით მუნ ისადგურებს*.

რას ერჩით, ეყო! სწორედ ღიდი განეთარებული ქალი ყოფილა ნინო! მხოლოდ ჩვენ ეს გეაკვირებებს, საღ შეიძინა ნინომ ასეთი სწავლა-მეცნიერება და გონების განეთარება. ნუ თუ ყოველივე ეს ნინომ მოიპოვა თავის მამის ოჯახში, თავდაუხსნელ გლეხის სახლში? მერე თუ კი ასეთი ქალები გამოდიან თავადის ზაქარია ლომიძის ნაყმეებში, მაშ რაღას ეუჩითენ ჩვენე გლეხების გონების სიბნელეს? ინკლისი, ამერიკა და საფრანგეთი ჩვენს საქართვე-

ლოში ყოფილა“ და ჩვენ სადღა ჯანაბას მივრბივართ განათლების შესაქნად...“

შაქარაა ღამადმე, შემდებელი ძველის მოდგმის თავადიშვილი ყველაზე უფრო ნამდვილად არის გამოხატული, მაგრამ მის სისრულეს, როგორც ტიპისა, ბევრი რამ აკლია. მაგალითად მეფისტოფელის ჭკუით აღჭურვილს ბატონს, რომელიც ისეთს საბავგელს რთულს ბოროტ-მოქმეზას ჰქვანძავს, როგორც მაგალითად მოჩვენებით ვარდნის მოტყუებაა, აბა, დაეკვირდეთ, როგორ მომოქმედებს? იგი ამისთანა რთული ინტრიგის ასრულებას მიანდებს თვით ნინოს მამიდას, მარინეს, რომელსაც თავის ძმისწულს ნინოზე ამოდის მზე და მის ბედნიერებას მგზავრის. ნუ თუ ასეთი გონება-მანვილი ცაკი ისე გაბოვმდა, რომ ძმისწულის დასაკლავ დანას მის მოყვარულს მამიდას აძლევს? ასეთი მემთხვევა სრულებით სინამდვილეს მოკლებულია და ან კი რა საჭირო იყო ასეთი გადაბრება ინტრიგისა. განა უმისოდ არ შეიძლება? სოფლის მამისახლისი იქ არა ჰყავდა? მარინეს რად ენდობოდა? მეორე კიდევ! ვამაგებელი მებატონე, რომელიც გადაწვას და გადაბუგვას ემუქრება თავის გლეხს და ერთდ-ერთ შვილს უკლავს, ნუთუ ასე ვაკულდობობიერდა, რომ შემდეგ თავის ნაყმევის ოჯახში შედის და ჰსურს მისი ღირსების შემაინებელი ნაყმევი ანუგეშოს და მუუხარებაში მონაწილე გაუზღვს? არა, ბატონო, ამპარტავანი და შურისმძიებელი თავადი აკრე არაოვად არ მოიქცევა. ის თვალითაც აღარ დაინახავდა თავის შურაღც-მყოფელს ნაყმეს...

ახლა ავიღოთ თვით გლეხა ტომოთე-იმერელი გლეხა, ისიც თავადიშვილის ნაყმევი, მის დღეში არ მისცემს თავის თავს იმდენ კადნიერებას, რომ თავის ბატონს, ოჯახში შემოსულს მის ავათმყოფის სანახავად, უთხრას: „წადე აქედან, გამეცალეთ.“ იმერელი გლეხი ერთად დარბაისლი და ვახრდილია, რომ ასეთი უხეშო სიტყვები მიახალოს გულზე თავის ბატონს. დიდაც, ის გულსაკლავ სიტყვებს ეტყვის; მაგრამ ისე, რომ უფრო საგრძნობელი იყოს თავის დარბაისლობით. ამ შემთხვევაში იმერელი გლეხი და ქართლ-კახეთისა ძალიან შორი-შორს დგანან ერთმანეთზე.

რაიცა შეგებმა თვით ღრამის ხელოვნურად დაკვანძას და შედგენას, ამაში იჭვი არ არის, რომ ავტორის ეტუობა ნიჭი და დრამატული ხელოვნების ცოდნა. სცენები ცოცხლად არის გამოყვანილი; მოჭრილი სიტყვა-პასუხი და მოქმედების მკვირცხლი მსუფელობა შესანიშნავია.

სახოვადოთ დრამა გარეგანი ხელოვნებით შემკულია; მხოლოდ აკლია შინაგანი ენებათა ბრძოლის გამოხატვა სცენაზე და ხსიათები ნამდვილად არა აქვს დახატული.

აქედან რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ? ის, რომ ავტორის ნიჭისთვის მის მოჭარბებულ ტენდენციურ მიმართულებას ფრთები შეუწყევია და ცხოვრების სინამდვილეს აუშორებია.

ეს კი უნდა ვთქვათ, რომ თვით მსახიობებმაც თავის უზერხო თამაშობით ბევრად შეამკირეს დრამის შთაბეჭდილება.


ბ-ნი გუნია ვარდენის როლს სულ ვერ თამაშობდა. ის უფრო იმ დენერალს ჰგავდა, რომელსაც ჩვეულებათ ჰქანდა ხოლმე შემდეგი თარუნანოს დამღერება: „Мальбругъ въ походѣ собрался... брумъ, брумъ!...“

მელიქიშვილის ქალი სულ ვერ თამაშობდა მისის ვარდსავით გაფთქილს იმერულს „კოკორინა“ ქალს; ის უფრო ემგზავებოდა გულდამგდარს პატარაძალს. კოტე ყოფიანმა იმერული მედიდური მებატონის ძავერად წარმოგვიდგინა ზემოური აზნაური, რომელიც თითქოს დუქიდან გამოსულა კარგათ შეზარხოშებული. არ მოგვეწონა აგრეთვე საუბრის გადასხვაფერებული კილოც, სამწუხაროა, რომ მეველეს უწინდელი მისი დამუშავებული ლიტერატურული ენა თან-და-თან უფუქდება. მახეილს ლიტერატორია ყურს ძალიან ღვაფს მის დრამაში ხმარებული სიტყვები: „ესლა“, „გეთაყვა“, „შეიშენეს“, „შეუძლია“ და სხვა ამისთანები. მეველე უწინდელს თავის ჩინებულს ლიტერატურულს კილოს რამ დადგამოდა, ზემოსხენებული სიტყვების მაკირად იხმარა: „ახლა“, „გეთაყვანე“, „შეიშნობს“ „შეუძლია“ და სხე.

უნდა აღვიაროთ, რომ ნამდვილი იმერული ლიტერატურული კილო უფრო შეგვერის ლიტერატურულად დამუშავებულს ქართულს ენას. რევი-სორმა მაინც იმერული ცხოვრების უცოდნარობით სულ გააფუტა საქვე; მაგალითად, შემდლებლა გლეხის სახლის მავიერათ ჩვენ ეხვედვით რაღაც ტრაკტორის ოთახს, ხოლო იმერული დუქის მავიერათ თითქოს სადღაც ნახული „ვაზას“ სასტუმრო ბალი მოგვაკონდა.

ბ. წერეთელი

* * *

ას იხსენებდენ საბრალოდ, ვინც მოკლებულ არს მხერასა; ან იისაც მხოლოდ ყნოსიანი უხშირებს გულის ძეგრასა. მწელი არ არის კაცისთვის წამლისა ღვსევა, კეთება; მას უნდა კურნა წყულოლისა, ვისთვის დღეც ღამეც თენდება.

ღ. რისტოპაშვილი.

ქართველების კვალი ბოლშევიკებში



ვერი ჩვენი სიყვარული სხვა-დასხვა მხრივ რესტორიულ გარემოებათა გამო სამუდამოდ მოსწყდენ მშობლის გულს და ვადიკარგენ უცხო ქვეყნებში. ზოგი ძალა-უჩუბურად უნდა წასულიყო, ზოგი ვადიბრებით მოჰყვა სხვა ქვეყნის წილში, ზოგიც თვისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო. ვინ არ იცის, რომ დიდებულ მეფეს საქართველოსას, ვახტანგ მეექვსეს კანონმდებელს ბლომად გაჰყვა საქართველოდან რუსეთში ამაღლად და ხლებულად თავად-აზნაურობა და სამღვდლო პირნიცა. საბრალონი დაბნეულ ცხვარებით დაიქსაქსენ რუსეთში; მყუდ გზაზე მიიკვალა, მან ვეღარ იხილა სამშობლო ქვეყანა და მის მომაკვდავს გულს ვეღარ ესწრა ცხელი ცრემლი თავისიანებისა. მის სიკდილს შემდეგ ზოგი მისი მხლებელთაგანი დაბრუნდა, ზოგი რუსეთში ჩარჩა, იქ დაესახლა და გადავიდა, მხოლოდ ცარიელი სიტყვადა, აღნიშნული ქართლის ევანჯელი, დარჩა. მომეტებული ნაწილი თავად-აზნაურობისა დაესახლა მცირე-რუსეთში, სადაც მიუბრძნის მათ მამული. მათ გადასახლებას შემდეგ ავირ ორას წელზე მეტია, მაგრამ მათ კიდევ შერჩენიათ ხსოვნა მამულისა, თვისის ვინაობისა და ძველის სამშობლოს სიყვარული. ამჟამად ქალაქ პოლტავაში ემსახურება ერთი ქართველი ახალგაზდა, რომელიც შემთხვევამ მიაგდო აქ სამსახურისათვის; იგი მსახურებს პოლტავის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში; გვარი ამ ქართველისა არის ალექსანდრე მღვდრიშვილი. ამ ქართველს გაუცნია ძველი, ვახტანგის დროს, გადასახლებულნი ქართველნი და მწერის მათ შესახებ წერილსა, რომელმაც გამოიწვია ეს ჩემი შენიშვნა და რომელიც მსურს გაუზიარო მკითხველს, რადგან იგი წერილი, ჩემის აზრით, ფრად და საინტერესოა და სასამაჟიფო ყველა ჩვენთათვის, აი, წერილიც სიტყვა-სიტყვად: „აქ ამ ცოტა ხანში სრულიად შემთხვევით ჩვენს კანტორაში გავიციან პოლტავის მახრის მარშალი კნიაზი კრასნოჟი, რომლის წინაპარნიც მჭვიდმეტე საუკუნეში ვახტანგ მეფეს დავით გურამიშვილთან ერთად გადმოჰყლიან და აქვე დასახლებულან. ეს არაგვის ერისთავია; ძლიერ გვიხარდა, რომ მე ქართველი ვარ; გულისა და სულით მთხოვა მასთან მიესულიყავ. რასაკვირველია, პირველად ვიზიტი ვაუწყეთ. ზალაში რომ შევედი, დიდმა არისტოკრატულმა და ძვირფასმა მორთულობამ თავს ბრუ-დამსახა. აქ გამაცნო თავისი უფროსი ძმა და ჩვენ შეველით მის კამინეტში, სადაც მალე მოიტანეს ჯორჯიძის წითელი და თეთრი ლინო, სხვა-დასხვა გვარი კამეტები, მურაბები, მხალი, ვაშლი და კიდევ რაღაცები, რომ-

ლის მიკარება ვერ გავებდე ჩვენი ლაპარაკი შეეხებოდა მათს გვაროვნობას და უფრო მეტად საქართველოს წარსულს და აწყოს. იმათ ძვირ იამათ, რომ ჩვენის ერის წარსული და აწყო ბედი ეციკ მე და მით უფრო გულ-მოდგინით მოხვეს ორთავ მძებმა, რომ მუდამ, როცა კი მე თავისუფალი დრო მექნება, მეარნა მათთან. იმათ ქართული ენა თუმცა არ იცან, მაგრამ ქართული ისტორია კარგად იციან; დიდი ქართველი პატრიოტები არიან და მრავალი წიგნები აქეთ საქართველოზედ ქართულს, რუსულს და ფრანგულს ენაზე. ორთავენი უცოლონი არიან. მე ხშირად დავიარები, მაოლოდ ეს ჩემს გემოვნებაზე არ არის, რომ ისინი, დიდი არისტოკრატები არიან და, აბა, მე სად მიესწვდები, თუმცა კი მუდამ დიდი პატივით მეგყრობიან. ჯერ ორი სადილი ესჰამ მათთან, მაგრამ მე ჩემი დამპროფესი: მათი სადილი შეიდ საათზე იწყება დიდი ცერემონიათა. უნდა ნახო, თუ ლაქიები როგორ გამზღიან და ჩამსკმევენ ხოლმე პალატოსა და კალოშებსა. ამას წინად ვუთხარ, რომ პოლტავის ჯვართ-ამაღლების მონასტერში ქართული სახარება არის-მუკი. მთხოვეს წაესულიყავ და ცნობები შემიკრება. მეორედ დღეს კარებზე მომადგა აქაური დიდკაცი „სანა“ ორი შეენიერი თფლა ცხენით და მეგაგებუავე მონასტერში, რომელიც პოლტავის ჯვართ-ამაღლების მონასტერსა; აქ ბერები სულ დავაფეთ, მე ბირდაპირ „ნასტოკატული“ სახლში შევედი და მან დიდი მოწონებით მიმიღო. ჩვენ კარგა ხანს ვილაპარაკეთ; ეს კარგი ნაცნობია ალექსანდრე ენსკოპოსის ძის-წულის ლეონიდისა, რომელმაც აკადემია გაათავა კიევში, ბერობა მიიღო და ახლა, გგონი, სადაც თქვენს ახლოს არის. თუ შეგებდეს სადმე მოითხვა ვადეც ამ არხიანდრიტის ვიტალის პავიერად. ბოლოს სახარება მომიტანეს და ბერების გარეცებას საზღვარი არ ჰქანდა, როცა ნახეს, რომ ტელეგრაფისტი ამ უცხო წიგნს კითხულობდა და სწერდა. აი, პირველი წარწეა: „აწ ახალი და პირველ დაბეჭდილი ქართულს ენაზე ჭამსა ამაღლებულისა და სახელოვანისა საქართველოს მეფისა გიორგისა...“ მეორე წარწეა: „ზრამითა ფრადლითა და წარგებითა საფასეთათა მართლმადიდებელისა და განაწილებულისა საქართველოს გამგებელისა ბატონიშვილისა თეთი თავადისა ვახტანგ ლევიანის ძისათა გაიმართა წმიდა ესე ხელითა ნიკოლოზ მღვდელმონაზონისა ორბელის შეილ-სათა, ხელითა მესტამზე მიხილ სტეფანეს შეილისა ონგრაგულახელისა ქტიდისისა ქკსა ათას-შვიდას და ცხრას“ ამჟამამ: სადიდებულად წმ. სამებისა მვეარტომობით, ძირ-მოდგამით დავითიანმან ძის ძემან სახელ განთქმულის მეფის ვახტანგისამან, ძმისწულმან ქებულის მეფის

არჩილისამან და დიდად სახელოვანის ქართველთა მეფის გიორგისამან და ძემან დიდად პატრიარქის ლევანისამან და გამკებელმან ქართლისამან ბატონი-შვილმან ვახტანგ მოვიყვანე მესტამეფე ვლავით და გავაკეთე სტამბა სახსოვრად სახელთა წინა თქმულთა მეფეთსა და მამისა და დედისა ჩემისათა სალხინე-ბელად სულისა ჩემისა და მფელლისა ჩემისა ჩერქე-ზის ბატონის ასულის რუსულანისა და ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად.⁴

შემდეგ კიდევ არის წარწერა, რომ პირველად ეს უცხო საქმე ვახტანგმა შემოიღო და მღვდელმონაზონი ნიკოლოზი აწერს, რომ მეფის ბრძანებით დიდის ტანჯვით შეეასწორეო. სახარება ძლიერ სუფთად, ხვეწრდის ყდაშია შენახული. მხოლოდ არა-ვინ იცის, ვინ და რა გვარად მოიტანა ეს სახარება აქ. გორდანი თავის წერილებში „დავით გურამი-შვილი და მისი ღრე“ ამბობს: „სწორედ არ ვიცი, სად დასახლდა ვახტანგის ჯარი მცირე რუსეთში. რუსის ეპისკოპოსის იოანეს მიმოსვლაში ნათქვამია: იმან ნახა თავის ნათესავები ბელიკში, ალექსიპო-ში, მონასტერისხეში, ნოვოსელკაში, რომლებიც (ეს სოფლები) აღარსად არსებობენო, მაგრამ ბელიკი, მონასტერისხე, ნოვოსელკა აქამდის არსებობენ პოლტავის გუბერნიაში. რადგან ქართველ ჯარს უნდა ჰყოლოდა უეჭველად ქართველი მღვდელი და ჩამოთვლილი სოფლები პოლტავაზე ახლო არიან. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ეს მღვდელი რამე მონაწილეობას იღებდა პოლტავის ჯვართ-ამაღლების და ძველის ძველს მონასტერში. მონასტერის ცოტა მონაწილეთ, ტყის პირას, ორ ხეს შუა, მიხედნეს ერთი საფლავი და მიხარეს, რომ აქ ვიდაც უცხო ტომის მარაიო, მაგრამ ძნელია ახლა მქრალი ზედ, წარწერის წაიკითხვა, რადგან ქვა დანატყეხული არის; გაწაფულზედ კი, როცა შემჩნება, კიდევ დავათვალთვინებ. გორდანის აქვს ნათქვამი, რომ დავით გურამი-შვილის საფლავი ეორსკლის, ან პსიოლის სათავეში უნდა იყუდებოდა, და უფრო უთითებს ახტირკის მონასტერს (ეს ხარკოვის გუბერნიაშია და რუსების დიდი სალოცავია). ეს უთხარ ერისთავს და სთქვა, რომ ევტემი ყველაფერი შეეიტყო და იქნება ეიპოვო საფლავი ჩვენის სახელოვანის წინა-პარისაო...“

ამითი თავდება ეს საინტერესო წერილი ბ-ნ მღებრიშვილისა. კერძო წერილით ესთხოვე მე, და აი, ახლა „ველის“ საშუალებითაც ესთხოვე, ეცადოს, ეგებ მართლა იპოვონ საფლავი ჩვენის ძვირფასის პოეტის და მთხზველის დავით გურამი-შვილისა და მისი ძვირფასი ფერფლი, როგორც ნ. ბარათა-შვილისა, ვიროსისა სამშობლო ქვეყნის წიაღსა შინა მიღებნასა, რომელიც მას გასაოკრად უყვარდა, მის, თვის კენსოდა, იტანჯვოდა და მისის ბედ-იღბლის ძებნაში დალია თვისი მრავალი ტანჯული დღენი. იმედია, ბ-ნ მღებრიშვილი, რომელსაც, როგორც ეტყობა ზემოდ მოყვანილის წერილიდან, წესის უნარი და შეძლება ჰქონია, დაწვლილებით შეატყობინებს თავის ქვეყანას მისგან დასახლებულს სოფლებში ჩარჩენილს ქართველებს ამბავს, ეცდება მისგან აღწერილი სახარება როგორმე წარმოგზავნოს „წე-

რა-კითხვის საზოგადოებას, ეცდება გადასწავლოს თავი ერისთავის ბიბლიოთეკა, სადაც, შესაძლებელია ისეთი შესანიშნავი რამე აღმოჩნდეს საქართველოს ისტორიის მასალად, რომელიც უფრო ჯერ ხელთ არა გვაქვს. შესაძლებელია, რომ ზემოდ ჩამოთვლილ სოფლებშიც რამე ქართული წიგნები და შესანიშნავი რამეები აღმოჩნდეს; იმედია, ყველა ცნობებს შეკრებს და განუზიარებს ქართველებს გაზეთის საშუალებითა.

ს. მაგლობლიშვილი

მ ე ს ტ ვ ი რ ე



იდი ხნის მესტირე იყო, ქუჩა, ქუჩა დადიოდა; დაუდგარიმელ ცრუ სოფელსა ცრემლით რწყავდა და ჩიოდა.




ერთხელ ოდეს სტირის უკრავდა სამუხრატ მრავალ ხმაზე გულს ნაღველი შემოაწეა, დააფიქრა მომავალზე. აიღო და გადაავლო, რა მიჭირავს შენით მეო? შენში განჭკრა წარსული და მომავალი სიკაცხოლო. მხოლოდ ერთი დამყოლია სამშუდამო გულის-ძეგრა. ის ძაღა, რომ დღესაც-კი კვლავ ანთია გულში კერა.



თვალზე ცრემლი არა მშრება
და ნალექი მიწყლულებს გულს,
მწარ ოცნებით დატანჯული
შეგტრფი მხოლოდ დიადს წარსულს,

წარსულს მუდამ სადიდებელს,
წარსულს გმირებს, სულის ძაბებს,
და ძველ დედებს დალოცვილებს,
სამშობლოსთვის განამწარებს...

ი. ივანეშვილი



მოდების ისტორია



ღე არ გევა, რომ სხვა-და-სხვა ქვეყნის მცერ-
ლობამ არ ასტეხოს ბასი შესახებ მოდებისა
რომ ის არის დამღუბველი ქალების ჯან-
მრთელობისა და კაცების ჯიბებისა. მაგრამ მოდა
მეფობს ყველგან და საფრანგეთის ღედა ქალაქი
პარიჟი ნიადავი კანონმდებელა არის მოდისა.

შარშან თვით მსოფლიო გამოფენაზე ჩიკაგოში
გაიმართა ქალების კონგრესი, რომელზედაც დიდი
ბასი ჰქონდათ მოდების ვადავარდაზე. ამით დაა-
დგინეს კიდევ, თუ რაწაირი სადა ტანისამოსი უნდა
შემოიღონ ყველა მოდების მოწინააღმდეგებმა. მაგ-
რამ ამავე დროს, თითქოს განგებ, ამავე მსოფლიო-
გამოფენაზე ვადამატებთ ახირებული და უცნაური
მოდები იყო გამოფენილი. მეტად ყველას ყურადღე-
ბას იზიდავდა საფრანგეთის განყო-
ფილება, აქ მხანველს თვალწინ წარ-
მოუდგებოდა მთელი ისტორია მო-
დისა.



ხელოვნურად შორთული თოჯები
წარმოადგენდნ ისტორიაში გამოჩე-
ნილ ქალებს, რომელთაც ეცვათ ტა-
ნისამოსი თავიანთ დროის შესაფე-
რად.

ეს ხახტი წარმოადგენს იმ თო-
ჯებს, ისტორიის შესაფერად მოდაზედ
ჩაცმულებს. წმინდა კლოტილდას და
დედოფულ ფრედერანდას (ნახ 1 და 2),
რომელთაც აცქიათ სადა ტანისამოსი
ძველებური რომაელებისა. მას მოს-
დევნებენ საშუალ საუკუნის ქალები (ნახ.
3) უცნაური თავსახურებით. მაგ-
რამ ამითი ტანისამოსი ჯერ კიდევ
სადაა და კაბების გამოჭრა ერთ გეა-
რია; მერე როდესაც დადგა ხანა ის-
ტორიის განახლებისა და შემოვიდა
შოდათ ფარხა დიბები, თვალმარვა-
ლიტი, ხაყრდები და აბრეშუმეულო-
ბა — კაბების გამოჭრამ ყოველგან
იწყოა შეძობება (ნახ. 4, 5, 6).

გენრახ მეოთხის და მის ჩამომა-
ვალთა დროს მოდამ უფრო იჩინა
თავი, კაბებს დაუწყეს გრძელი კუდე-
ბის კეთება; (ნახ. 8, 10) თმების ძაღლა
იწყობდნენ, იტყობდნენ კოშკი ადგიათ
თავზეო.

ოქრომკედით ნაქსოვ კაბებს და
ძვირფას თვალმარვალიტს ისე ხარ-
ბათ ხმარობდნენ, რომ ზოგჯერ თითო
ტანისამოსი ქალისა ღირდა მთელ ქო-

ნებათ. მართალია რიშელიემ ვამოსაქსატიკი ბრძანება, რომლითაც აღუკრძალა ყველას ძვირფასი ტანისამოსის ჩაცმა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებითი განკარგულება. ლუდოვიკს XV და XVI დროსა ყველანი გაიბრინნენ მოდებზე ქალღმებმა, იწყეს ადრინდელზე უფრო ძვირფასი ტანისამოსის ჩაცმა, მეტადრე თმებს ახირებულათ იკეთებდნენ და თავზე რას არ იწყობდნენ (ნახ. 15).

როდესაც მოხდა საფრანგეთში რევოლუცია, როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში ისეც მოდებში მოხდა დიდი ცვლილება. გადავიარა ადრინდელი ძვირფასი ტანთხაცვა, ყველა ცდილობდა სადა ტანისამოსის ჩაცმას, შემოიღეს ძველი რომაული კაბის დიემუში—გდელი, სადა ტურნეტე. მაგრამ ამ ხანამ დიდ ხანს არ გასტანა; დაწვა ნაპოლეონის დრო და დაიწყეს კიდევ მორთვა. (ნახ. 17, 18). მერე, როდესაც შეიკვალა კიდევ მფლობელობა, საფრანგეთს დაუბრუნდნენ მეთევები—ბურბონები—მოდებმა ისევ ძველებურად იჩინეს თავი. შემოიღეს უწყველბელი კრინოლინი და დიდი ფრთიანი შლანგები ლენტებით. (ნახ. 19, 20, 21).

ამ მოდამაც დიდხანს არ გასტანა—გადავიარა კრინოლინი და შემოვიღეს ტურნეტურები (ნახ. 22). ამ მოდის გადაჭარბების ნახველი ბევრი ჩვენგანი იყო.

ამ ჩვენ დროს დაიწყეს კიდევ გრძელი კუდებიანი კაბების ხმარება და ფრთიან სახელოებს იკეთებენ. კოსტუტი, როგორც ყოველთვის მფლობელობადა, ისევ მფლობელობა.

ვინც კი დააკირდება ამ ნახატს ყველა ნახავს, რომ ეს ტანისამოსი არა თუ ტანის სიძრთელისთვის არის მავნებელი, თითონ სახმარებლათაც არის უმარჯო, ისე რომ მოდა არა თუ ჯიბისთვის, ჯან-მრთელობისთვისაც საზარალოა. ძნელი წარმოსადგენია, რომ კვლავაც ასე არ იყოს, ამიტომ ყველა გონიერი ადამიანი უნდა მიემხროს იმათ, ვინც წინააღმდეგობას უწევს მტარვალ მოდას და ისეთი ტანისამოსი შემოაღონ, რომელიც არც ჯან-მრთელობისთვის იქნება სახეიბელი და არც ჯიბისთვის.

ან. თ. წ — სა.

ჩ ე მ ი დ ა რ დ ი .

ქრთამი, ქურდობა კახშირდა, ხალხი ირყენება ზნეობით. სხვა-და-სხვა უნამუსობა მატულობს დღითი დღეობით. მაგრამ რა უყო ბედ-შეიშა, რომ ვერას ძველი ვერაივის? გულო! ათასფრად ტახჯულო, რატომ არ გასკდი აქამდის?! გადმოათხიე ნაღველი, დილა ნწით ჩაგუბნებული; მწუხარებისა წარმოთქმით, შეგებასა შკობ ბედკარული.

კორტობა.

ნათის წყაროები ბაქოს ახლო



მომთხრობენ, იქ სადაც ჩვენ კავკასიონის მთებს მთავარი ქედი უვაკდება, და სადაც ამ ქედის ჩაქანებული ცხვირი კასპიის ზღვის ზეირთებში შთაინთქმის, იმ ალაგს ეწოდება აფშერონის ნახევარკუნძული. ეს ალაგი მთელს დედა მიწის ზურგზე განთქმული და გამოჩენილია, მაგრამ განა რითი? აფშერონის ნახევარკუნძულს არა აქვს არც რიონის ხეობის შეენიერი და მდიდარი ტროპიკული ბუნება, არც ყაზბეგის მთების და მის ცამდე ასულ კლდეების უძლვეელი მედიტურება. პირ იქით აქ საშინელი ხრიაკი და მოტიტლებული, ერთ ფეროვანი ბუნებაა. უნაყოფო მოყვითალო-ნაცრის ფერ ნიადაგზე მხოლოდ აქა-იქ აღმოცენებულან დაბალი, ფერმიხილი ბუჩქები და თუ სადმე შეხედებით ხეს და ხებილს ვგ მხოლოდ ადამიანის ნახელოვნარია. არ ისმის აქ არც მხიარული ფრინველთ ჭიკჭიკი, არც ნაკადული სააბო ჩხრიალი და არც მწერთა ბზუილი. ზოგჯერ და ისიც იშვიათად წააწყდებით ან ხელიეს ანუ დამშეულ კალიის. ასე სიცოცხლე მოკლებულ ბუნებას ზედ გადაჰყარებია მარილის ხაშური და ეს თეთრი სუღარი უფრო აძლიერებს ცუდს შთაბეჭდილებას და გულს უხუთავს კაცს.

თუმცა ვარგვობით ეს ალაგი ასე უხადრუკია, მაგრამ მის გულში იმდენი აუარებელი სიმდიდრეა ჩამარხული, რომ მთელ ქვეყანაზე არა ადგილი არ შეედრება. — ამ სიმდიდრეს, მოშალო-მწვანე შადრევანით, ზოგჯერ ზეითაც უშურველად ამოხეთქს ხოლმე და რწყავს მთელს არე-მარეს. ამგვარად მქეფარე ნაკადულს ჩვენ ეწუოდებთ ნავარს. ეს ის ნავთია, რომელმაც მთელ კავკასიონას მისცა აფთი და კარგი სანაირ და რომელსაც მოძრობაში მოჰყავს ათას ნაირი ორთქლის გემები და მაშინები, რადგან შეშის და ნახშირის მავივად სათობბათაც ხმარობენ.

კავკასიონის მთების კალთებზე და ხეობებში ძრეელ ბევრგან არიან გაფანტული ნათის წყაროები. ამ გვარი წყაროები აღმოაჩნეს ბაქოდან სამხრეთისკენ სალიანის ახლო, აგრეთვე ალაზნის ხეობაში დედოფლის წყაროზე, მერე შავი ზღვისკენ ფოთის ახლო და თამანის ნახევარ კუნძულზე თერგის და ყუბანის ხეობებშიაც ძრეელ ბევრია ნათის წყაროები ნაპოვნი, მაგრამ ვერც ერთი ადგილი დედამიწის ზურგზე ვერ შეედრება ნათის სიუხვით აფშერონის ნახევარ კუნძულს, ეს ალაგი მდებარეობს ბაქოდან ჩრდილოეთისკენ 10—12 ვერსის მანძილზე, რომელსაც ბალახანს უწოდებენ, თუმცა ბალახანში ძველის ძველად-

ვე აგროებდნენ ნავთს, მაგრამ როცა ამ 20 წლის წინ მთავრობამ სრული თავისუფლება მიანიჭა ნავთის მწარმოებელთ, მხოლოდ მაშინ ნავთის წარმოება უმაღლეს წერტილამდე ავიდა და ისე ძრიელ გავრცელდა, რომ ჩვენმა კავკასიის ნავთმა საწინვლი მეტოქობა (კონკურენცია) გაუწია ევროპის ბაზრებში ამერიკულ ნავთს.

დღეს ბალახანში, სულ სამის დესეტინა ალაგზე, ოთხსამდე ნავთის წყარო წარმოებს, საიდანაც ყოველ წლობით ას მილიონ ფუთობით აგროებენ. ადვილი წარმოსადგენია, რა საწინვლიება უნდა მოხდეს ხოლმე ამ არეშარეში და რა უბედურება უნდა დატრიალდეს ხალხში, თუ ვინიცაბაა რომელსამე ნავთის წყაროში ცეცხლი ჩაეარდა, ყველა წყარობს მოვიდა! დღესაც გვახსოვს ის საწინვლი ამბავი, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში პიტსბურგში ნავთის წყარობს ცეცხლი მოვლო. ამიტომაც ბალახანზე, წყარობის ახლო-მახლო ცეცხლს თითქმის სულ არ ხმაობდენ. თუმცა ასეთ დიდ სიუთხილით იქცევიან, მაგრამ ზოგჯერ მოხდება ხოლმე, რომ ცეცხლი ვაჩაღდება რომელსამე წყაროში. ავერ დაატყრდით სურათს, ვაჩაღებული ნავთის ჭიკაკონა მზეს აწვლავს მართალია ვისაც უყვარს ძრიელი შთაბეჭდილება, ამისთვის შევნიერი სანახავია ეს მუქი ჩირაღდანი და ამოდენი ცეცხლის შადრევანი, მაგრამ ბერი უბედურება კი მოხდება ხოლმე. ამასთანვე ძრიელ ვასაჭირია და დიდ მოხერხებასაც თხოულობს, რომ რითიმე შეაჩრონ ეს ვამეინარებული სტიქიონი. ცეცხლის ჩაქრობა ყოველად შეუძლებელია და ხალხა მხოლოდ იმას და ცდილობს, რომ ცეცხლი სხვა წყარობებზედაც არ გადაიდგეს როცა ცეცხლ წყიდებული ნავთის წყარო თავის თავად ქება და მაღლა აღარ ისერი ალის შადრევანს, ჯერ მაშინაც საშუაო, რადგან წყაროს სიღრმეში, დედაშიწის გულში მაინც ცეცხლი გუგუნებს ხოლმე და ადვილად შესაძლებია ხელ-ახლად იმავე ძალით ზევით ამოეარდეს.

ნავთის წყარობი სიღრმით ერთ საყენიდან ვიდრე 40—50 საყენამდე არიან, რომლებიც დანაც მოეზიდებიან ვასასყიდ ნავთს. მომეტებულ ნაწილად კი სადაც შეიკლებენ ნავთს იმ ადგილის უზარმაზარ მთხანებით ბურღებით ხერეტენ მიწას და თუ ბედმა გაუღიმათ, მაშინ ამოეარდება ხოლმე უშველებელი შადრევანი ჭუჭყიანი ნავთისა. როცა მთხანბი ნავთამდე ჩაატანს ხოლმე ამ დროს საწინვლი ხმაურობა ისმის დედაშიწის გულიდან, დახვლონებულმა მუშებმა ეს მომენტი კარგად იციან და ამიტო-

მაკ საჩქაროდ მიატოვებენ ხოლმე მაშინებს და შარს გარბიან. ამ დროს ერთი კი დიქუხებს და უცხად ამოეარდება ზევით ნავთის შადრევანი რომელიც სამოც საყენის სიმაღლესგს ისერი და ისეთი საწინვლი ძალით, რომ ათ და ისეც ფუთობან რკინის იარაღებს მივიდან ჩალის მსგავსად ამოეადგებს ხოლმე. ამა, მაშინ ძღება ჩაქადშიანის გაუმძლარი თვლი! ამ გვარი შადრევანი თუ პატარაა, დღეში სამოც ათასს ფუთს ნავთს იძლევა, ხოლო დიდ შადრევნიდან დღეში ნახევარ მილიონამდე ფუთ ნავთს აგროებენ. რასაკირველია ნავთის პატრონები ყოველ ღონისძიებას ხმაობდენ, რომ ეს ძვირუაზი საჭინელი უბრალოდ არსად დაეკარონ ამ აზრით ბეგრინიერი აუზები და ბაკები იმართება მაგრამ ზოგჯერ ისე მოულოანვლად იცის შადრევანმა გაძლიერება, რომ არავითარი ხერხით არც მისი შეყენება შეიძლება, აღარც მომზადებულ აუზები ჭყაფის და პატრონის თვალ წინ ოხრად იკარგება დიდ ძალი ნავთი.

ამ მოულოანვლად მოვედენს მეცნიერები იმით ხსნიან, რომ დედაშიწის გულში ათას ნაირი ომხივარი (გაზი) გროვდება და როცა იქამდე გაძლიერდება რომ ევლარ თავდება თავის ალაგას, ამ დროს გამასასვლელ ალაგს ეძებს და სწორედ მაშინ მოაწეება ხოლმე საწინვლი ძალით ნავთის წყაროს და ადვილად წარმოსადგენია ამოდენა ძალის უნარი. ა, ორ ფაქტს ვიამბობთ.

დღესაც ყველას ახსოვს ერთი საკირველი მოვლენა. ერთი შადრევანი, რომელიც ხალაგის ამაანავობას ეკუთნოდა, მთელი სამი თვე პატარა ნაკადულით ძრიელ სუსტად, ერთ საყენ სიმაღლესგ ძლიეს ისერიდა ნავთს. უერად, 1873 წ. მკათათვეში, სრულებით მოულოანვლად ერთი ისეთი საწინვლი შადრევანი ამოხეთქა, რომ ვანუწყებულად ცაში ისერიდა აუარებულ ნავთს. შადრევნის პატრონებს მთლად დაეკარგათ დეთრები. განა შესაძლო იყო იმ სიერის ჭურჭელი ჭქონოდა კაცს, რომ ის იმოდენი აუარებელი ნავთი მოეკროვებინა და ან კი რა იკოდენ, თუ მათ თავს ამისთანა მენი დაეცემოდა? შადრევანის შეჩერება და ჩაქოლევა ყოველად შეუძლებელი იყო და ამ გვარად ვაოხრდა იმოდენა სიმძლავრე, შადრევანმა მოარწყოა მის გარშემო მდებარე მიწდრები და ამოავსო ორმო-ფოსოები. ნავთის ტბებში ნავებით დატურავენ და ნავთის ნაკადულები ზღვისკენ მიჩრიალებდენ, არამც თუ შადრევანის პატრონები და სხვა კერძო პირნი, ადვილობრივი აღმინსტრაციაკი ბეგრის ცდილობდა რითიმე შეეჩერებინა ეს საწინვლი წარღენა, მაგრამ სულ ამაო იყო დიდხერ-



ნავთთან ერთად შადრევანს მრავალი ქვიშა ამოჰქონდა.

სხა და მოგონებას შემდეგ. ბოლოს შადრევანს როგორც იყო რკინის პალოებით, მიღებით და კრანებით პირი შეეკრეს, ჩაუქალეს, მაგრამ დედამიწის გულში დაძლიერებული ვაზი ისე საშინლად აწვიბადა ნავთს, რომ ნავთმაც ახლა სხვა ალაგას სარქველივით ახადა დედამიწის ზურგი და საშინელის ძალით ხელახლად დაიწყო შადრევანს სროლა. ასე გასტანა რამდენიმე კვირა, ვიდრე როგორც იყო არ დაქალეს ახალი შადრევანის პირიც. როგორც ამბობენ, მაშინ 13 მილიონი ფუთი ნავთი დაიღუპა!—მხოლოდ იმითი-ღა ისარგებლეს, რომ ორ დისეტინამდე ადგილზე ორგან ღიღ ტბებდა დააგუბეს და შემთავრეს ნავთის ნაკადულები, მაგრამ ამ ტბების ნავთი რაჟი თავის თავად ამოქრა, ამიტომ აღარ გამოდგა;—ლამპრებში სახმარებელი ნავთი (კეროსინი) ეღარ გაკეთდა, რის გამოც პატრონები იძულებული იყვნენ ფუთი თითო კაპეკად გაეყიდნათ სათბობად—სახმარებლად.

ამ აღწერილობაზე უფრო ძრიელ საკვირველი და გასაოცარი ამბავი მოხდა 1887 წელს, როდესაც ერთი ისეთი უშველებელი შადრევანი ამოვარდა, რომელიც ოთხმოც საუენის სიმაღლეზე ისვრდა და საათში ორმოც-ათას ვერსა ნავთს იძლივდა! არავითარი ხერხით არ შეიძლება და ამ წარმოუდგენელი ნაკადულის შეჩერება, რომელიც მთელი ერთი კვირა დღეში ცხრას ათას ვერსა ნავთს იძლივდა!

ნავთთან ერთად შადრევანს მრავალი ქვიშა ამოჰქონდა. გაძლიერებულ ქარს ეს ქვიშა ექსი ვერსის მანძილზე ბაჰომდე მიჰქონდა, სადაც სახლების ბანები, ეზოები და ქუჩები მთლად მოკირწყლა. თუმცა იმ ერთ კვირაში ხუთ მილიონამდე ნავთი დაიღუპა, მაგრამ მაინც იმდენი მოასწრეს, რომ ეღრა ნავთი ნახევარ კაპეკზე ჩამოვიდა!

ახლა კი ქუთა ისწავლეს. ამ ქვამდ ნავთის წყაროების ახლო წინაღობით გაწვებ ამზადებენ უშველებელ ორმოებს ქვითკირით და ცემენტით ნაშენს. თითო ამ გვარ ორმოში ორასი ათასი ფუთი ნავთი თაესდება. ამ ორმოებიდან რეა ვერსის მანძილზე ნავთი მიღებით ბაჰომდეა გაყვანილი, სადაც სავანგებოდ გამართულ ნავთის ქარხანებში სწვენდენ და ხიან. ნობელებმა და როთშილებმა მარტო ქარხნის გამართვაში რამდენიმე მილიონი ფული ჩაყარეს.

დღე-ღამის გულიდან ნავთი მოშავო მწვანე კუბრივით ამოდის და ჩვენ ლამპრებში რომ ნავთს სანათად ეხმარობთ; ეგ ზაგოდებშია გამოხდილი და დაწმენდილი, როგორც ქაჭიდან არაყი, ან არაყიდან სპირტი გამოხადით, ისე უზრალა ნავთის კუბრიდან წმინდა ნავთს ხდიან სანათად სახმარებლად. მაგრამ იმ ნავთის კუბრიდან განა მარტო სანათ ნავთს (კეროსინს) ჰხლან? აი, მოგახსენებთ:

ბუნებით ნავთი, ანუ მიწის კუბრი, როგორც ესთქვით, მოშავო მწვანე ფერისაა და თუ არაფერმა

დაუშვალა, თავის თავად ჰერზე ამოქრება ხოლომე და მონარჩენი შავად მარდდება, ამას წყოდება ასფალტია. ნაეთიდანვე ბუნება ამზადებს მაქის სახეობას, რომელსაც ბაქოში ნეფთიგადა ეწოდება, ხოლო ვალ იქის და პომინის ნაეთის წყაროებთან ოზოგერაიტს ეძახიან, ამ ოზოგერაიტად მზადდება ცერუსანი.

როცა ნაეთის ქარხნებში მოაქვთ ნედლი შეუმუშავებელი ნაეთი. აქ ჯერ მძლავრი გოგირდი მკაფეში იხვევენ და შემდეგ აოასნაირ მარხნებში სპირტივით ხდიან.

პირველად 50—60 გრადუსის ცეცხლს (სიცხეს) აძლევენ—ამგვარი ძალა ცეცხლისა ნაეთთან გამოხების ნაეთის ეფერს, რომელსაც ეწოდება გაცხადანი.

მერე სიცხეს უმატებენ 70—90° გამოიხლება ბენზინა, (მაგრამ ის ბენზინი კი არა, რომელიც იხლება ქვა-ნახშირის ზეთიდან).

90—120° სიცხით გამოიხლება დაგროვანი.

ამას შემდეგ ცეცხლს უძრვილებენ და 150—300°/მდე რომ ავი სიციხე, მაშინ გამოიხლება სანათალ სახმარებელი დაწმენილი ნაეთი ანუ კეროსანა, რომელსაც ჩვენ ლამპებში ეხმარობთ. 300 გრადუს ზეით რაც იხლება ის პარაფინა, პოლიმის საწველდათ რომ ეხმარობთ. ზოგაერთი პარაფინიდან მზადდება ვაზლინი. დანარჩენი მაშინების ბურღებში და ჰახრაკებში წასამებლად იხმარება ისე, როგორც ჩვენ საპონს ვხმარობთ ურმის ღერძისთვის. ისევე მონარჩენებს შეშისა და ნახშირის მაგიერად დიდ ხმარებაში არიან. ამ ნაეთის მონარჩენებს დიდი მომავალი მოლოცის, რადგან ნახშირისა და შეშაზე უფრო ძირიელ ცეცხლს (სიცხეს) იძლევა და არც მაგვინათ საშინაო მონარჩენების ხმარება, უკეთეს საკანგებლად გამართულ ფერებში ეხმარათ. რუსეთში ძირიელ გაცეცხლებულია ნაეთის მონარჩენების საწველად ხმარება მეტადრე ქარხანებში, რკინის გზებში და ორთქლით მავალ გემებზე დიდ ძალი იხარჯება. ცნობილი პროფესორის მენდელეევის სიტყვით ნაეთი და მისი მონარჩენები ისეთ ძირიელ სიცხეს იძლევიან, რომ რკინა და ფოლადი სანთელივით დნებიან და თუ ფერები ხერხინადად მოემართეთ, შეიძლება ნაეთი სრულივით უშობლოდ დაიწვას. ერთი კუბიკური საყენი ხველი მავალ დაახლოებით იწონს 250 ფუთს. ორთქლის შემწენებში სახმარებლად 250 ფუთ შეშის მაგიერობას 100 ფუთი კარგი ქვა-ნახშირი იხამს; ნაეთის ცეცხლს კი ისეთი ძირიელი სიცხე აქვს, რომ 70 ფუთი ნაეთი 250 ფუთ შეშას უდრის და არც სიბრტეა ნაეთის ფერებს ცალკე კაცები, ამიტომაც ნაეთის პატარანებს უფრო ხელს აძლევთ შეუმუშავებელი ნედლი ნაეთის გაყვლა ნაეთის და მის მონარჩენის ხმარება შეშის და ნახშირის მაგიერად უფრო ძირიელ გაყვრელდობდა უკეთეს გალტან-გალმობახის ქირა ძირიელ არ ჯდებოდეს. კასპის ზღვაში საკანგებლად გემები არიან დიდი აუზებით გამართული, რომლებშიაც პირდაპირ ასხმენ ნაეთს და ამ გემებით მიჰქვთ მდ. ვოლგით რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში, ამიტომაც იაფია რუსეთის ბაზრებში ნაეთი. მაგრამ კავკასიის ნაეთისთვის განა მარტო რუსეთის ბაზრები კმარა? რუსეთი კი არა, მთელი ქვეყნის ბაზრები

შეუძლია კავკასიის ნაეთმა მოარწყოს. თქვენ ის ბძენით, რომ სახლვარ გარეთ ვასატანი ქირა ძირიელ ძვირად ჯდება, თორე კავკასიის ნაეთს ამერიკის ნაეთი ეგრ შეედრება თვისებით. ამერიკის ნაეთი (პენსილვანიისა) უმთავრესად შესდგება სახლვარმდე მიღწეული ნახშირ-წყალბადთაგან (ფორმულა $C_n H_{2n} + 2$); ბაქოს ნაეთი კი უმთავრესად შესდგება ნახშირ-წყალბადთაგან, რომელი საზოგადო ფორმულა არის $C_n H_{2n}$. ამიტომაც კავკასიის ნაეთს უფრო ძირიელ სინათლე აქვს, ვიდრე ამერიკის ნაეთს. ერთადერთი საშუალებად, რომელსაც შეუძლია ერთისას გალტაკებიდან ჩვენი ნაეთის მწარმოებელი, იმაში მდგომარეობს, რომ ნაეთს ვაუხსნან ფართე გზა და მიაწვინონ ევროპის ყველა ბაზრებამდე. აი, ამ მიზნად ამქადაწვეთა ერთი განხილული აზრი დაიბნა. აზრად ამქელ კასპის ზღვის კიდებიდან შევი ზღვის კიდემდე წამოიყვანონ დიდი მილვით ნაეთი და აქ ბათუმში პირდაპირ ჩაასხმებ აუზებით გამართულ გემებში და გაისტუმრებენ სახლვარ გარეთ. ეს უზარაზარი აგებულობა მილვისა და სხვ. ექვსას ეფრის მანძილზე უნდა გაკეთდეს! სიდიდე მილვისა იმ ნაირად აქვთ გამოანგარიშებული, რომ ყოველი წლიე, ზუსტულობით, თთხი თვის განმავლობაში ამ მილვით შეიძლება დღეს სამოგ მადამანა ედრა ნაეთის გაღასხმა ბაქოდან ბათუმამდე. ამობენ ამ გვარ მილვის გამართვებ ოცდაათი მილიონი მანეთი დაიხარჯება, მაგრამ ბა ბძენება ეს ხარჯე, ოლონ კი თავიდან აიცილონ ეხლანდელი ის ქირა, რომელსაც რკინის გზას აძლევენ და რომელიც ის ძვირად ჯდება, რომ სახლვარ გარეთ ნაეთის გატანა საექრებელი ალარე კი არის. მაგრამ თუ დმერთმა ბძანა და ეს დიდ აზრი განზორცილდა, მაშინ მილვით გატანაში ბაქოდან ბათუმამდე გინდ ფოთამდე ედრებ 6—7 კა. დაიხარჯება. აბა, მაშინ ვაბედულად შეუძლია კავკასიის ნაეთმა სრულივით გაძიოს ამერიკული ნაეთი ევროპის ბაზრებთან.

როგორც მკითხველმა გაზეთებთან იცის, ამ ყვად ფინანსთა სამინისტრომ, მგანი, შეიწერა ჩვენი ნაეთის მწარმოებლების თხოვა, რათა ამირე კავკასიის რკინის გზაზე დაუკლონ ქირა ნაეთის ბაქოდან ბათუმამდე გალტანაში. მომავალი გეგმეებს ნაეთის მწარმოებელი მილვის გაყენის აზრს განაზრცილებენ, თუ არა.

ბოლოს უაღვილოდ არ ვთვლით ორიოდ სიტყვით ისიც მოგახსენოდ საიდან და როგორ წარმოსდება ნაეთი. ნაეთის თვისება და მისი შემადგენი ნაწილები ქიმიურად ძირიელ კარვად არის გამოკვლეული, მაგრამ საიდან, როდის, რა მიზეზით და რისგან წარმოსდგა ნაეთი ჯერ აქნობამდე მეცნიერებსაც ნამდვილი ვერ შეუტყვიათ. ზოგი გეოლოგი იმ აზრისაა, რომ ძირიელ ძველას-ძველად; ქვეყნის წარლქამდე აქ სხვა ზღვა იყო და იმ ზღვის პირზე მრავალი ცხოველი ცხოვრებდა და მცენარე მცენარეობდა. ამ ორგანიზმების გვამნი როცა ათას ნაირ გეოლოგოჟერ ვაღმარე-ვალმობრუნების დროს მიწის ვულში მოაყვენ, აქ ძირილმა ცეცხლმა და სიცხემ დამალ ცხოველების და მცენარეების მონარჩენებთან გამაზდა ზეთი (ნაეთის კუპრი), როგორც ჩვენ ჰაქიდან

არაყს ესდით ხოლმე: ეს მოსაზრება უფრო იმაზე არის დამყარებული, რომ ნათის წყაროებში ყველთვის მოიპოვება მარილი და მარილის წყალი.

უფრო კი იმ აზრისანი არაა და ცნობილი პროფესორი მენდელივიც იმას ამტკიცებს, რომ ღვინოსის გულში მრავალ ლითონთა შორის რკინაც

სანთელივით გაღობილია და როდესაც წყლის საშენელი ცხელი ორთქლი იმ ნაირ რკინას შეხედება, რომელსაც ნაზშირბადლი ურევია და თუჯი ეწოდება, მაშინ ამ თუჯიდან იხდება ის, რასაც ჩვენ ნათის უწოდებთ.

ბუნების მეტყველების მოყვარე



ჩვენი ქვეყნის რიანილი

II

წხვა გზა აღარ გვაქვს, ამდამ დუქანში უნდა გავათიოთ ლამე.— უთხრა მასწავლებელმა მცირეწილმა თავის მეუღლეს, როცა გავიგო მატარებელი დილამდე არ მოვა.

— როგორ შევიცდით, რომ ცხენები მაშინათვე გავაბრუნეთ უკან! ახლა რომ ცხენები აქ გვეყოლოდა, გაებრუნდებოდით შინ. დუქანში რა გავაძღვებინებს! თქვა დაღობნიერ ქალმა.

— თუნდა ცხენები აქ გვეყოლოდა კიდევ, შინსკენ გაბრუნებას მაინც ვეღარ მოვასწრებდით. ხელა; დაღობდა კიდევ. არა უშავს რა დუქანში ერთ ოთახს ჩვენთვის დაეიჭერ საკურხად.

სპირიტონმა (სპირიტონ ერება მასწავლებელს სახელად) და მისმა მეუღლემ დაკავეს ხელში, — სპირიტონმა ჩემოდანი, მეორემ — აბჯა და წაიღონ ნაცნობ მედუქნეთან.

დუქანისკენ მიმავალ მასწავლებელს და მის მეუღლეს ყურადღებით გაატანეს თვალი ტარიელმა და მისმა ამხანაგმა, რომელნიც აქამომდე შორი-ახლო უთვალ თვალბედნ ამით და ყურს უგდებდნ მათ ლაპარაკს.

— კარგა მოეწყო საქმე! აღტაცებით უთხრა ტარიელმა ამხანაგს.

— ეტყობა, ღმერთი ხელს გვეწყობს — უპასუხა ამხანაგმა.

ამ ლაპარაკს შემდეგ ტარიელ და მისი ამხანაგი წაიღონ იმ დუქანისკენ, სადაც იყვნ ჩამომხტარნი.

ჯერ კიდევ კარგად არ დაღამებულყო, რომ ტარიელმა და მისმა ამხანაგმა დილაკ კიდევ სამმა ყმაწვილმა კაცმა გაისიერნეს იმ დუქანის წინ, სადაც მკირიშვილი და მისი მეუღლე იყვნ მისული ლამის გასათვლად. ამ დროს მასწავლებელი მკირიშვილი და მისი მეუღლე ბალკონზე ისდნენ, მკირიშვილს მოეწონა ტარიელის რაინდის თვალ ტანადობა და ჰკითხა მედუქნეს:

— ვინ არი ეს ყმაწვილი, ძველებური რაინდი რომ მომავგანა?

— მკლავაძე განსლავთ, აზნაური, უპასუხა მედუქნემ.

— სწორედ შევიფრება ეს გავრი, მკლავაძე. თქვა მასწავლებელმა და შემდეგ უთხრა თავის მეუღლეს: — აი, დესპინე, მხოლოდ ჩვენს მამულს საქართველოს, შეუძლია ასეთი შვილის შობა. სხვაგან კი ვეღარ შეხედება კაცი ამ დროში ასეთ რაინდს.

აბა, კარვალ შეხედე, „ვეფხის ტყაოსნის“ გმირს ტარიელს, არ მოგავგონებს? ზოგიერთებს რომ ჰკითხო, ტარიელ ზღაპრული პირია. ნამდვილ ცხოვრებაში ტარიელისთანები არ მოიპოვებო, გეტყვიან. თუ კი ჩვენ დროში, როცა ფიზიკურ განვითარებას ყურადღებას აღარ აქცევენ, გამოერევა ასეთები, როგორც ეს მკლავაძე არის, ძველ დროში, როცა ფიზიკურ განვითარებას პირველი ადგილი ეჭირა, როცა მუდამ მხვრულს მგავამარებაში იყო ადამიანი, ბურთი და მოედანი იმას რჩებოდა, ვინც უფრო ხელ-ღონიერი იყო, განა არ გამოერეოდა „ვეფხის ტყაოსანში“ დახატული გმირისთანა, მავალითად როგორც ტარიელ და ავთანდილ არის გმირები?

— ეს ყველა კარგი, მაგრამ ახლა ეს ვეკითხოთ, ძველ დროში კიდევ, ჰო, ვგება, ჰქონდა კიდევ ასეთ რაინდებს მწიშველთა. მაგრამ ახლა რა მწიშველობა აქვთ ასეთ რაინდებს კაცობრიობის წარმატებაში, ანუ, როგორც ეძახიან, პროგრესში? ჰკითხა პოლემიკური კილოთი დესპინემ ქმარს.

— რას ამბობ, დესპინე! ნუ თუ თავი არ უნდა მოსწონებო იმ ქვეყანას, რომელსაც შეუძლია აღზარდოს ასეთი შვილები? შემოინატრიან იმიტომ, რომ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ბუნებას შეუძლია შეას და აღზარდოს ასეთი სალი შვილები, როგორც მავალითად, აი, მკლავაძე.

— მე მაყვედრი ხან-და ხან ახიარებული აზრი გავიტაცებო, მაგრამ შენც არ ხარ სულ თავისუფალი ამ ნაკულთევაებისაგან. იტიქი, მუდამ იმას ვიძახით, რომ ადამიანი პატრესაცემი, რომელსაც ხალხს ცხოვრება თავისი ღვაწლით გაუმჯობესებია, ყოველ შემთხვევაში უღვაწია მაინც ხალხის გაუმჯობესობისათვისო. ახლა კი აღტაცებაში მოღებარ და ქვეყნის თვალად სთელი ისეთ ადამიანს, რომლის შესახებ არაფერი არ იცი, თუ რა სულია. ქვეყნის თვალად სთელი იმიტომ, რომ ბევრი ხორცი აქვს ტანზე, ტკბილად შენიშნა დესპინემ ქმარს.

— ეეთანხმები შენს კრიტიკას, მხოლოდ იმ შენიშვნით, რომ ადამიანის ფიზიკური განვითარება დიდი თვლებია იმის გონებრივი განვითარებისთვის. პოტენტოტი ძლიერი ცოტა ნიქს იინეს გონებრივი განვითარებაში. სხვა პირობებს გარდა ერთი უმთავრესი მიზეზი ამისა ის არის, რომ პოტენტოტის თავის ქალა, ტყინი, საზოგადოდ ორგანიზმი, განუვითარებელი აქვს.

— პოტენტოტის რა მოგახსენო და ჩვენში კი ხშირია იმის მავალითი, რომ გარეგნობით სალი შეხედულების ბავში უნიჭო გამოამდგარიყოს და არა სალი შეხედულებისაკი ნიჭიერი.

— მართალია, არის კი ასეთი შემთხვევები, მაგრამ ეს კანონად არ შეიძლება აღიაროდ.

როცა მასწავლებელი და მისი მეუღლე ამგვარ მსჯელობაში იყენ, ტარიელმა და მისმა ამხანაგებმა რამდენიმეჯერ გაისიერნ-გამოისიერნეს მათ წინ.

დაღამდა, თან სიცრვე უფრო მოიტანა. სპირიტონ და მისი მეუღლე შევიდნენ იმ ოთახში, რომელიც მეღუფნეს დაეთმო საკუთრად მათთვის. სპირიტონ ცდილობდა, რომ ღუქანში ღამის გათევას არ შეეწუხებოდა დესპინე, ამიტომ მოიგონა ერთი საშუალება, რომელიც იცოდა, ძლიერ გართობდა დესპინეს.

— მართლა, დესპინე, გახსოვს, იმ დღეს რომ დაგპირდი—იმ მოღვაწეების ცხოვრებას ვამბობ, რომლებმაც ისე მამაცურად შესწირეს სიცოცხლე უსამართლობასთან ბრძოლის ხალხს ცხოვრების ვალუაბესობისათვის-მეთქი, უთხრა მან თავის მეუღლეს.

დესპინე მიხვდა რომელი მოღვაწეებზედაც ელაპარაკებოდა ქმარი და სთხოვა—დაწერილებით მიამბე, არა გამოტყვევო რაო.

სპირიტონ მოსყუდა და მოუთხრო დაპირებული ამბავი, ლაპარაკის დროს სპირიტონს ეტყობოდა გატაცება. საზოგადოდ ის გრძობა-ქარბი კაცი იყო, ამიტომ თავის დღეში არ შეეძლო გულ კრილად ეამნა, ან მოესმინა ვისმესაც შეეპყე კითხვების შესახებ ლაპარაკი. ქმრის გატაცებას ლაპარაკის დროს გაელენა ჰქონდა დესპინეზედაც. ხშირად თვდაღიწყებამდე გაიტაცებდა ზოგიერთი ამბავი, რომელშიც კეთილი საქმისთვის თავ-განწირვა იყო გამოხატული. ერთხელ ასეთი ამბავით გატაცებული დესპინე მოეხვია ქმარს ყელზე და აღტაცებით თვალზე ცრემლ-მოღწერილი ეხვეწებოდა—სპირიტონ, წყავდეთ ჩვენც, ჩვენც ისე შევწირეთ თავი ხალხის წარმატებისათვის ბრძოლას!

-- ეს რომ არ მოგვცნობდა, არ ვიცი როგორ გაეძღვებდი ამღამ ამ ღუქანში! ახლა კი თითქოს სხვა ქვეყანას ვამაფრინა შენმა მოთხოვნათა, სულ გადამაიწიყა აქაური გარემოება, უთხა ქმარს დესპინემ.

— მამ რაღად იძახი ჩვენც ქვეყნის სამსახურში შეგწირით თავი, უსამართლობასთან ბრძოლაში დაელოთ სიცოცხლე, თუ კი ღუქანში ღამის გათევასაც ვერ შეიძლებ? მერე კიდევ აქ. სადაც ორს საკუთარი ოთახი გვაქვს. იმ ხალხს, რომლის წამებული ცხოვრება შენ ისე გიტაცებს, ვინ მოთვლის, რამდენი ღამეები და დღეები ვალუაბებია მარტო-მარტოდ ბნელ საყანში რამდენი სიმშალი წყურვილი და სიცივე აუტანია! ტკბილად შენიშნა ცოლს სპირიტონმა.

— როცა კაცი აღიჭურვება და ბრძოლის ველზე გაეა, მაშინ სულ სხვაა, მაშინ იცის, რომ ბრძოლის ველზეა და არც ერთდგა ბრძოლას. მაგრამ როცა იარად ჩამოხსნილი თავის ოჯახში ცერასთან ზის, მაშინ მკირე რომ საშიშროებაც კი შეაშფოთებს და შეეკრთობს მის ვულს, უმასუხა დესპინემ.

— ისეთი მოღვაწეობისათვის, რომელსაც ჩვენ საქიროდ ვთვლით, ყოველგან ბძოლის ველია, თქვა სპირიტონმა და განაგრძო თავისი მოთხოვნა.

მინამ სპირიტონ თავის მოთხოვნას დაასრულებდეს, მე ვამბობ, მკითხველო თუ როგორ მოხდა სპირიტონსა და დესპინეს შორის ცოლ-ქმრობა.

ე. ნინოშვილი

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

ბანსხალეა

დამზღაპევი საზოგადოება

ი ა კ მ რ ი

(დ უ ხ ა)

უმაღლესად დამტკიცებულა 1872 წელს, რომელსაც ძირითადი თანხა 2 500,000 მანეთი აქვს, გარდა სულადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღ-

ვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

მიიღება ყოველწლირი მოძრავისა და უძრავისა ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვით, მდინარით და ხმელეთით წასადებ-წამოსადების საქონლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განვიზარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგებანში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, თუ არა და თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზაფრეივისაგან, რომელიც დგას ელიამივის ქუჩაზე № 2.